ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები
NODIA, URUMASHVILI & PARTNERS

სარჩევი:

- „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 2
- საქართველოს კანონი „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ 4
- „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები
- „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონში შესული ცვლილებები 6
- „მიკრო ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონი ამოქმედდა
- CRS MCAA ანგარიშგების საერთო სტანდარტის შემოღება 9
- შრომით კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები 10
- „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილება
- „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის ცვლილებები
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება
- „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 11

„2023 წლის 31 მარტის მდგომარეობით საინფორმაციო ბიულეტენში მოცემული ინდორმაცია და მოსაზრებები არის ინფორმაციული ხასიათის; ისინი არ უნდა იქნას აღქმული, როგორც შ.პ.ს. „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორების“ მიერ გაცემული სამართლებრივი რჩევა."

1. „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2023 წლის 9 თებერვალს **„ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“** საქართველოს კანონში განსახორციელებელ ცვლილებებს საფუძვლად დაედო ქვეყნის ვალდებულება შეემუშავებინა, როგორც ფიზიკურად არსებული სამორინეს, ასევე, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი სამორინეს და აგრეთვე, გემზე მოწყობილი სამორინეს ლიცენზირების წესები.

კანონის თანახმად სისტემურ-ელექტრონულ ფორმით აზარტული ან/და მომგებიან თამაშობებზე წესდება ნებართვის სახეები, რომლებიც მოიცავს სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინეს თამაშობების, სათამაშო აპარატების თამაშობების, ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზების სანებართვო საქმიანობები.

აღნიშნულის გათვალისწინებით შესაბამისი ცვლილება განხორციელდა კანონის მე-3 მუხლში, კერძოდ, მუხლს დაემატა ჩანაწერი, რომელიც განმარტავს, რომ სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების ორგანიზება გულისხმობს ამავე კანონით დადგენილ მოთხოვნათა დაცვით აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების ინტერნეტის, ტელეფონის ან/და სპეციალურად მოწყობილი ელექტრონული საშუალებების გამოყენებით გამართვას. გარდა ამისა, მუხლს დაემატა რამდენიმე სხვა ქვეპუნქტები, რომლებიც შესაბამისად განმარტავენ სისტემულ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების, სათამაშო აპარატების თამაშობების, ტოტალიზატორში დაშვებული მომგებიანი თამაშობების ორგანიზებას.

ამასთანავე, განხორციელებული ცვლილებებით ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა აღნიშნული კანონის მე-11 მუხლი, რომლითაც გათვალისწინებული იქნა შემდეგი საკითხები:

• ნებართვის სახეობებს დაემატა ისეთი შემოღებული სანებართვო საქმიანობები, როგორიც არის სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების ორგანიზება, ამავე ფორმით ტოტალიზატორისა და სათამაშო აპარატების თამაშობების ორგანიზება;

• განისაზღვრა აღნიშნული ნებართვის მიღების პირთა წრე;

• სამორინეს, სათამაშო აპარატის სალონის, ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვის გაუქმების შემთხვევაში გაუქმდება აღნიშნული ნებართვის საფუძველზე მიღებული სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინეს თამაშობების, სათამაშო აპარატების, ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზების ნებართვა;

• განისაზღვრა აღნიშნული ნებართვის მოქმედების ვადა;

• სანებართვო საქმიანობებზე სანებართვო პირობები დგინდება კანონით, თუმცა, ცვლილების მიხედვით შესაძლებელია დამატებითი სანებართვო პირობების შემოღება, რომელსაც დაადგენს საქართველოს მთავრობა. პრაქტიკაში წამოჭრილი პრობლემის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელი ცვლილებები, ასევე, ადგენს საფუძველს, რომლის მიხედვით საქართველოს მთავრობას უფლება ექნება საგანგებო მდგომარეობის (პანდემიის) დროს დაადგინოს სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების ორგანიზების/მოწყობის საქმიანობის განსხვავებული წესი.

ვინაიდან ცვლილების მიხედვით განისაზღვრა ახალი ნებართვის სახეები, დგინდება პასუხისმგებლობა ამ საქმიანობების სანებართვო პირობების შეუსრულებლობისათვის 7 000 ლარის ოდენობით სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების ორგანიზების ნებართვის, ამავე ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობებისა და ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზების ნებართვის მფლობელთა მიმართ. ასევე, განისაზღვრა ჯარიმა 20 000 ლარის ოდენობით ამავე პირების მიმართ, მათ მიერ წლიური მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევებზე.

მოქმედი ნებართვის მფლობელებისთვის კანონით გათვალისწინებულია გარდამავალი პერიოდი. კერძოდ, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორები, რომლებიც ამ კანონის სრულად ამოქმედებამდე ახორციელებდნენ სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობების მოწყობას, ვალდებულნი იქნებიან 2024 წლის 1 ივნისამდე უზრუნველყონ შესაბამისი ნებართვების ამ კანონით გათვალისწინებულ შეცვლილ/დამატებულ პირობებთან შესაბამისობაში მოყვანა. ხოლო სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების მომწყობმა პირმა 2024 წლის 1 ივნისამდე უნდა უზრუნველყოს სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების ორგანიზებისთვის გათვალისწინებული ნებართვის აღება. ასევე, საქართველოს მთავრობამ და საქართველოს ფინანსთა მინისტრმა 2024 წლის 1 ივნისამდე უნდა უზრუნველყონ „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა და ამ კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე აქტების მიღება/გამოცემა.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებელ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, 2023 წლის 9 თებერვალს ცვლილებები შევიდა **„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“** საქართველოს კანონშიც.

შესაბამისი ცვლილებით კანონის 24-ე მუხლს ემატება „37^3 , 38^1 და 39^1“ პუნქტები, რომლებიც გულისხმობენ შემგდეგი სახის ნებართვებს:

- სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინეს თამაშობების ორგანიზების ნებართვა;

- სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების ორგანიზების ნებართვა;

- სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზების ნებართვა;

ასევე, 34-ე მუხლის მე-2 პუნქტში და ამავე მუხლის 4(1) პუნქტშიც განხორციელდა თანამდევი ცვლილებები. ამავე მუხლს ემატება ახალი პუნქტები, რომელიც ითვალისწინებს ნებართვის გაუქმების საფუძველს.
სამორინეს მოწყობის ნებართვის გაუქმების შემთხვევაში უქმდება აღნიშნული ნებართვის საფუძველზე გაცემული სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინეს თამაშობების ორგანიზების ნებართვა, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის გაუქმების შემთხვევაში უქმდება აღნიშნული ნებართვის საფუძველზე გაცემული სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების ორგანიზების ნებართვა, ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვის გაუქმების შემთხვევაში უქმდება აღნიშნული ნებართვის საფუძველზე გაცემული სისტემურ- ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზების ნებართვა.
მინიშნებები.

აღსანიშნავია, რომ „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების ამოქმედება ხორციელდება ორ ეტაპად. კანონი, გარდა მისი პირველი მუხლის, მე-2 მუხლის პირველი-მესამე პუნქტებისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე, 2023 წლის 24 თებერვლიდან, ხოლო, ამ კანონის პირველი მუხლი და მე-2 მუხლის პირველი –მესამე პუნქტები ამოქმედდება 2024 წლის 1 ივნისიდან.

რაც შეეხება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონში შეტანილ ცვლილებებს, ისინი ძალაში 2024 წლის 1 ივნისიდან შევა.

2. საქართველოს კანონი „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“

2022 წლის 29 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი

„იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“, რომელიც აწესრიგებს იპოთეკური ობლიგაციების ემისიასთან, იპოთეკური ობლიგაციების ემიტენტების ზედამხედველობასთან და მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. კანონის მიხედვით, იპოთეკური ობლიგაციაა – კომერციული ბანკის (მათ შორის, რეფინანსირების ბანკის) მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდი, რომელიც უზრუნველყოფილია ისეთი აქტივებით, რომლებიდანაც იპოთეკური ობლიგაციის მფლობელებს, როგორც კრედიტორებს, აქვთ უპირატესი და პირდაპირი დაკმაყოფილების უფლება აღნიშნული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. კანონით დადგინდა ფასიანი ქაღალდის დასახელების - „იპოთეკური ობლიგაცია“, „იპოთეკით დაცული ობლიგაცია“ ან მისი უცხოური ეკვივალენტის (მათ შორის, - “Covered Bond”) - ექსკლუზიური ხასიათი, კერძოდ აკრძალულია ხსენებული სახელწოდებით ფასიანი ქაღალდის საქართველოში გამოშვება, თუ იგი არ დააკმაყოფილებს „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ კანონის მოთხოვნებს. იპოთეკური ობლიგაცია, თავისი არსით, უზრუნველყოფილი სასესხო ფასიანი ქაღალდია, რაც იმას გულისხმობს, რომ ობლიგაციის მფლობელს ენიჭება შესაბამისი უზრუნველყოფის აქტივებიდან (ძირითადად, იპოთეკური სასესხო აქტივებიდან) საკუთარი მოთხოვნის უპირატესად დაკმაყოფილების უფლება. აგრეთვე, განსხვავებით სეკიურიტიზაციის ტრანზაქციის ფარგლებში გამოშვებული ფასიანი ქაღალდებისგან, იპოთეკური ობლიგაციის მფლობელის მოთხოვნა არ ამოიწურება მხოლოდ სპეციალური აქტივებიდან დაკმაყოფილების უფლებით და მას შეუძლია მოითხოვოს ობლიგაციიდან გამომდინარე გადახდის ვალდებულებების შესრულება უშუალოდ სესხის გამცემი სუბიექტისგანაც (ამ შემთხვევაში - კომერციული ბანკისგან, რომელიც უშვებს იპოთეკურ ობლიგაციას). ამდენად, იპოთეკური ობლიგაციის მფლობელი სარგებლობს ე. წ. „ორმაგი“ დაკმაყოფილების (dual recourse) უფლებით, რაც გულისხმობს მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლებას როგორც სპეციალურად საამისოდ განსაზღვრული აქტივებიდან, ისე არაუზრუნველყოფილი კრედიტორის რანგში - ემიტენტის სხვა ქონებიდან. კიდევ ერთი მახასიათებელი, რომელიც განასხვავებს იპოთეკურ ობლიგაციას სხვა ტიპის სასესხო ფასიანი ქაღალდებისგან, მდგომარეობს იმაში, რომ ემიტენტის (კომერციული ბანკის) მიმართ გადახდისუუნარობის, ლიკვიდაციის ან რეზოლუციის პროცესის დაწყება არ იწვევს ობლიგაციიდან გამომდინარე გადახდის ვალდებულების ავტომატურად აქსელერაციას. აღნიშნული კანონის მიღება განპირობებული იყო იმით, იპოთეკური ობლიგაციის, როგორც ფინანსური პროდუქტის (ინსტრუმენტის) დანერგვისთვის, პირველ რიგში, საჭირო იყო საქართველოში სპეციალური სამართლებრივი რეჟიმის შექმნა.

საქართველოს სამოქაღაქო კოდექსში განხორციელებული შესაბამისი ცვლილებები

2022 წლის 29 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებით კოდექსის 254-ე მუხლს, რომლითაც ჩამოყალიბებულია გირავნობის ცნება, დაემატა შემდეგი შინაარსის მესამე სეკუნდა პუნქტი: „დამგირავებელს ეკრძალება იმ არამატერიალური ქონებრივი სიკეთის დაგირავება, რომელიც „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ უზრუნველყოფის აქტივების გაერთიანებაში შემავალი აქტივია.“

აღნიშნული სიახლე ემსახურება „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით, რაც გულისხმობს უზრუნველყოფის აქტივებიდან უპირატესი დაკმაყოფილების უფლებას, განმტკიცებული პრინციპის სამოქალაქო კოდექსში ასახვას. ამასთან, ვინაიდან, ზემოაღნიშნული კანონით, უზრუნველყოფის აქტივები განკუთვნილია ექსკლუზიურად პროგრამის კრედიტორთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მესამე პირთა სასარგებლოდ აღნიშნული აქტივების გირავნობის უფლებით დატვირთვის ინტერესიც არ არსებობს.

3. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2022 წლის ნოემბრისა და 2023 წლის თებერვლის **„კომერციული ბანკების**

საქმიანობის შესახებ" კანონში განხორციელებული ცვლილებებით ახლებურად ჩამოყალიბდა „ბენეფიციარი მესაკუთრის" ცნება. კერძოდ, კანონის მიზნებისთვის 2023 წლის პირველი ივლისიდან ბენეფიციარი მესაკუთრება განიმარტება, როგორც „პირი, რომელიც კანონის ან გარიგების საფუძველზე იღებს ფულად ან სხვა სარგებელს და რომელსაც ამ სარგებლის სხვა პირისთვის გადაცემის ვალდებულება არ აკისრია, ხოლო თუ ბენეფიციარი მესაკუთრე არის არასამეწარმეო (არაკომერციული) მიზნებისთვის შექმნილი იურიდიული პირი ან მესაკუთრე იურიდიულ პირს არ ჰყავს მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრე პირი – მისი მმართველი ორგანოს წევრი." ასევე, განისაზღვრა, რომ 2023 წლის პირველი ივლისიდან აღნიშნულ კანონში ახლო ნათესავის განმარტებისას გამოყენებული იქნება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" კანონით გათვალისწინებული დეფინიცია.

აქვე, განისაზღვრა, რომ შესაფერისობის კრიტერიუმების ნაწილში ლიცენზიის მაძიებელ ფიზიკურ პირს მოეთხოვება ნასამართლობის შესახებ ცნობის მოპოვება ყველა იმ ქვეყნის ადმინისტრაციული ორგანოდან, რომლის რეზიდენტიც იყო იგი ბოლო 10 წლის განმავლობაში, ხოლო, იურიდიულ პირზე გაჩნდა მოთხოვნა წარმოადგინოს იურიდიული პირისა და მისი ადმინისტრატორის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის/ნასამართლობის შესახებ ცნობა ყველა იმ ქვეყნის ადმინისტრაციული ორგანოდან, რომლის რეზიდენტებიც იყვნენ ისინი ბოლო 10 წლის განმავლობაში.

კორექტირება შეეხო კომერციული ბანკის ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმებსაც. განისაზღვრა, რომ კომერციული ბანკის ადმინისტრატორი არ უნდა იყოს საქართველოში რეგისტრირებული სხვა კომერციული ბანკის, მიკრობანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ან/და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის ადმინისტრატორი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული სუბიექტი/სუბიექტები ექვემდებარება/ექვემდებარებიან იმ კომერციული ბანკის კონტროლს ან არის/არიან იმ კომერციული ბანკის მაკონტროლებელი სუბიექტი/სუბიექტები, რომელშიც მას ადმინისტრატორის პოზიცია უკავია. კომერციული ბანკის ადმინისტრატორი არ უნდა იყოს 5-ზე მეტი საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს ან/და დირექტორატის წევრი. ამასთანავე, 1 აღმასრულებელი პოზიცია თავსებადია 2 არააღმასრულებელ პოზიციასთან ან დასაშვებია 5 არააღმასრულებელი პოზიციის დაკავება. ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში დაკავებული პოზიციები არ გაითვალისწინება. ამავე ქვეპუნქტის მიზნებისთვის 1 პოზიციად მიიჩნევა:

- ერთ ჯგუფში დაკავებული პოზიციები. ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის ჯგუფი გულისხმობს კომერციულ ბანკს, მის სათავო საწარმოს და შვილობილ საწარმოს/საწარმოებს;

- იმ საწარმოში/საწარმოებში დაკავებული პოზიციები, რომლის/რომელთა მნიშვნელოვან წილსაც ფლობს კომერციული ბანკი.

აღსანიშნავია, რომ შეიცვალა ჩანაწერი კომერციული ბანკის წესდებასთან მიმართებით. განსხვავებით წინა ვერსიისგან, 2023 წლის პირველი ივლისიდან კომერციული ბანკის მართვა ხორციელდება მისი წესდებითა და სხვა შიდაორგანიზაციული წესებით, რომლებიც უნდა განსაზღვრავდეს მის ორგანიზაციულ სტრუქტურას, რისკების მართვის ჩარჩოს, პასუხისმგებლობებს და უნდა იყოს ფორმალიზებული და ეროვნული ბანკისთვის მუდმივად ხელმისაწვდომი. 2023 წლამდე არსებული რედაქციით განსაზღვრული იყო შინაგანაწესით დასარეგულირებელი საკითხების ნუსხა.

საყურადღებოა, რომ 2023 წლის პირველი ივლისიდან იცვლება 27-ე მუხლი, რომელიც გარე აუდიტის საკითხებს აწესრიგებდა. მართალია აუდიტის ჩატარების მოთხოვნა რჩება, თუმცა, არ არის მითითება გარე აუდიტზე. კომერციული ბანკი და მისი შვილობილი საწარმო ვალდებული არიან ყოველწლიურად მოიწვიონ აუდიტორი და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით ჩაატარონ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. კომერციული ბანკი ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასრულებისთანავე ეროვნულ ბანკს წარუდგინოს აუდიტორული

დასკვნა და გამოაქვეყნოს ეროვნული ბანკის წესებით განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგება აუდიტორულ დასკვნასთან ერთად.

და ბოლოს აღსანიშნავია, რომ 2023 წლის პირველი ივლისიდან ლიკვიდაციის დროს ლიკვიდატორი უფლებამოსილი ხდება შეწყვიტოს კომერციული ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტია და ის იმავე პირობებით გადაიტანოს სხვა კომერციულ ბანკში. მისი გადატანისთვის საჭირო არ არის საბანკო გარანტიის ბენეფიციარისა და პრინციპალის თანხმობა, თუმცა, კომერციული ბანკის ლიკვიდატორი ვალდებულია საბანკო გარანტიის ბენეფიციარსა და პრინციპალს შეატყობინოს აღნიშნული საბანკო გარანტიის სხვა კომერციულ ბანკში გადატანის შესახებ. აქვე, ახლებურად განისაზღვრა კომერციული ბანკის ლიკვიდაციისას მოთხოვნათა დაფარგვის თანამიმდევრობა და რიგითობა.

წინამდებარე ყველა ცვლილება ამოქმედდება 2023 წლის პირველი ივლისიდან.

4. *„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონში შესული ცვლილებები*

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებებით პროფესიული საიდუმლოებისა და ინტერესთა შეუთავსებლობის ნაწილში დაზუსტდა, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტსა და ეროვნული ბანკის იმ სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელს, რომელიც ამ კანონის საფუძველზე ახორციელებს საფინანსო სექტორის ზედამხედველობას ან კომერციული ბანკის რეზოლუციას ან ლიკვიდაციას, უფლება არა აქვთ, იყვნენ საფინანსო სექტორის წარმომადგენლის ან მასთან დაკავშირებული იურიდიული პირის თანამშრომლები, წილის პირდაპირი ან არაპირდაპირი მფლობელები, სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის წევრები. ეროვნული ბანკის სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელი შეიძლება დაინიშნოს დროებით ადმინისტრატორად, ლიკვიდატორად ან სპეციალურ მმართველად. მმართველად, აგრეთვე „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პროგრამის ადმინისტრატორად ან პროგრამის ლიკვიდატორად.

ეროვნული ბანკის საზედამხედველო ნაწილს დაემატა მითითება, რომლის მიხედვით ეროვნული ბანკი 2023 წლის 1 ივლისიდან უფლებამოსილი ხდება განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებულ სუბიექტს ლიკვიდაციის ხარჯების დასაფარავი თანხა არ აქვს, ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტის ლიკვიდაციის პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის აუცილებელი ხარჯების დასაფარავად გასცეს თანხა, რომელიც დაკმაყოფილდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნული თანხის გაცემისა და დაკმაყოფილების წესს ადგენს ეროვნული ბანკი.

ასევე, ეროვნული ბანკის უპირატესი და უპირობო უფლების ნაწილში დაკონკრეტდა, რომ ასეთი გათვალისწინებული უფლებამოსილებები შეიძლება არ იქნეს გამოყენებული ერთ-ერთ შემდეგ შემთხვევაში:

ა)ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებით ლიკვიდაციის ან დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმში მყოფი ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტის, აგრეთვე რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის მიმართ;

ბ) ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, ამ კანონის 48-ე მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული თანხის ფარგლებში, ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტის ლიკვიდაციის პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის.

ყველა ეს ცვლილება ამოქმედდება 2023 წლის პირველი ივლისიდან.

5. *„მიკრო ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონი ამოქმედდა*

2023 წლის 22 თებერვალს მიღებულ იქნა **„მიკრო ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონი,** რომლის დეტალური მიმოხილვა „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორების“ წინა ბიულეტენის ფარგლებში მოხდა. ამ კანონის მიზანია საქართველოში მოქმედი მიკრობანკების საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგება, მათი განვითარებისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნა და ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა. კანონის 1-40 მუხლები ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე, ხოლო მე-40 და 41-ე მუხლები ამოქმედდება 2023 წლის პირველი ივლისიდან.

41-ე მუხლით (გარდამავალი დებულებები) განისაზღვრა, რომ 2024 წლის 1 იანვრამდე მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად განაცხადის წარდგენის შემთხვევაში მას მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მიღებიდან არაუგვიანეს 2 წლისა არ უნდა ერიცხებოდეს დაგირავებული აქტივები, გარდა ლიკვიდურობის მხარდაჭერისთვის საჭირო საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ინსტრუმენტებისა. ამ პერიოდში მიკრობანკებს ლიკვიდურობის კოეფიციენტისთვის განსხვავებული ინდივიდუალური მოთხოვნა განესაზღვრებათ:

ა) იმ მიკრობანკს, რომლის დაგირავებული აქტივების სააქციო კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მიღების მომენტში 90 პროცენტზე მეტია, დეპოზიტების მოზიდვის უფლება არ ექნება;

ბ) იმ მიკრობანკს, რომლის დაგირავებული აქტივების სააქციო კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მიღების მომენტში 90 პროცენტზე ნაკლებია, დეპოზიტების მოზიდვის უფლება ექნება იმ პირობით, რომ დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი დეპოზიტების მოზიდვის უფლების მიღებიდან არაუგვიანეს 1 წლისა 50 პროცენტზე ნაკლები იქნება, ხოლო არაუგვიანეს 2 წლისა ნული გახდება.

2024 წლის 1 იანვრამდე მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად განაცხადის წარდგენისას მიკრობანკის საკრედიტო პორტფელის არანაკლებ 50 პროცენტისა უნდა შედგებოდეს სამეწარმეო მიზნით გაცემული სესხებისგან ან/და იმ სესხებისგან, რომელთა დაფარვის წყაროც სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალია, ხოლო მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მიღებიდან არაუგვიანეს 2 წლისა მიკრობანკი უნდა აკმაყოფილებდეს ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოთხოვნებს. საქართველოს ეროვნული ბანკი ვალდებულია ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტები გამოსცეს 2023 წლის 1 ივლისამდე.

„მიკრო ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანმდევი სიახლეები

საქართველოს კანონის მიღებით და მიკრო ბანკების მარეგულირებელი ჩარჩოს ეფექტიანი იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნით, გარკვეული ტერმინოლოგიური და ტექნიკური ხასიათის ცვლილებები ხორციელდება მთელ რიგ კანონებში.

- კერძოდ, ცვლილება შევიდა **„მეწარმეთა შესახებ“** საქართველოს კანონის იმ შესაბამის ნორმებში, რომელიც არეგულირებს კომერციული ბანკების სამართლებრივ ურთიერთობებს და აღნიშნულ ნორმებში, კომერციული ბანკების მსგავსი სამართლებრივი მოწესრიგების უზრუნველსაყოფად ემატება მითითება მიკრო ბანკზე. შესაბამისად, ახალი რედაქციით ყალიბდება კანონის 161-ე მუხლის მე-11 პუნქტი, 167-ე მუხლის მე-3 პუნქტი და 225-ე მუხლის მე-4 პუნქტი. ამასთან, კანონით ცვლილება არ ეხება ისეთ ტერმინს, როგორიცაა, საბანკო ანგარიში, რამდენადაც ეს ცნება შინაარსობრივად მიემართება მიკრო ბანკსაც.
- ასევე, 2023 წლის 1 ივლისიდან ცვლილება შედის **„ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“** საქართველოს კანონშიც. ახალი რედაქციით ყალიბდება კანონის მე-3 მუხლის „ქ“ ქვეპუნქტი და კომერციული ბანკების მსგავსი სამართლებრივი მოწესრიგების უზრუნველსაყოფად, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის საფუძველზე ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და

მომგებიანი თამაშობის სალაროს ცნებაში გამონაკლისის სახით მითითება კეთდება მიკრო ბანკზე.

• **„მიკრო ბანკების საქმიანობის შესახებ“** საქართველოს კანონის მიღებით არის გამოწვეული ცვლილებაც **„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“** საქართველოს კანონში, რის შედეგადაც, 2023 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევა აღნიშნულ კანონის მე-6 მუხლში დამატებული 34[1] პუნქტი, რომლითაც განისაზღვრება საქმიანობის ლიცენზიის ახალი სახე - მიკრო ბანკის საქმიანობის ლიცენზია.

• ასევე, 2022 წლის ნოემბერსა და 2023 წლის თებერვალში **„კომერციული ბანკების შესახებ“** საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით დაზუსტდა, რომ არავის არ აქვს უფლება, გამოიყენოს ტერმინი „ბანკი“, „მიკრობანკი“ ან სხვა სიტყვათწყობა ამ ტერმინის გამოყენებით ამ კანონის შესაბამისად გაცემული საბანკო საქმიანობის ლიცენზიის ან „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაცემული მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გარეშე, იმავე კანონით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი გამოყენება დაწესებულია ან აღიარებულია კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით ან როდესაც იმ კონტექსტიდან, რომელშიც გამოყენებულია ტერმინი „ბანკი“, „მიკრობანკი“, ჩანს, რომ იგი არ ახორციელებს ამ კანონით, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით ან „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საბანკო საქმიანობას.

კანონს დაემატა ჩანაწერი კომერციული ბანკის მიკრობანკად გარდაქმნის თაობაზე. კომერციული ბანკი უფლებამოსილია შეიცვალოს საქმიანობის საგანი და ეროვნულ ბანკს მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად. მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე კომერციული ბანკი უწყვეტად ახორციელებს საქმიანობას და მასზე ვრცელდება ამ კანონით დადგენილი მოთხოვნები. კომერციული ბანკის ლიცენზიის გაუქმებისთანავე მისი უფლებამონაცვლე ხდება შესაბამისი მიკრობანკი. მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაცემაზე უარის მიღების შემთხვევაში კომერციული ბანკი განაგრძობს საქმიანობას ამ კანონით დადგენილი წესით.

„კომერციული ბანკების შესახებ“ კანონში შეტანილი ყველა ცვლილება ამოქმედდება 2023 წლის პირველი ივლისიდან.

• **„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“** ორგანულ კანონში ტერმინოლოგიური ცვლილებები, ასევე, განპირობებულია, „მიკრო ბანკების შესახებ საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით. შესაბამისად, ყველგან, სადაც მითითება იყო მხოლოდ კომერციულ ბანკებზე, ახალი დეფინიციები კონტექსტის მიხედვით შეიცავენ მიკრობანკზე მითითებებსაც.

აღსანიშნავია, რომ შეიცვალა კომერციული ბანკის, მიკრობანკისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ზედამხედველობის მუხლი, რომელიც, ასევე, მოერგო მიკრობანკების შესახებ კანონს.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილება ამოქმედდება 2023 წლის პირველი ივლისიდან.

• „მიკრო ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მომზადებით არის განპირობებული 2022 წლის 30 ნოემბრის ცვლილებებიც **„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში.** შესაბამისად, დაკორექტირდა, რომ ფინანსურ ინსტიტუტებს (გარდა კომერციული ბანკებისა და მიკრობანკებისა) უფლება აქვთ, განვითარებული ქვეყნების შესაბამისი ორგანოების მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე დამატებითი უფლებამოსილების მინიჭების გარეშე, განახორციელონ თავიანთი საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მსგავსად კომერციული ბანკების შესახებ კანონისა, აქაც მიკრობანკების საქმიანობის ნაწილში გაკეთდა მითითება შესაბამის კანონზე.

• **„მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“** საქართველოს კანონში 2023 წლის 22 თებერვალს განხორციელებული ცვლილებებით ახლებურად ჩამოყალიბდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დირექტორის შესაფერისობის კრიტერიუმები, ვინაიდან თანამდებობრივი აკრძალვა მიკრობანკის ნაწილშიც

გავრცელდა. ამასთან, გაჩნდა შესაძლებლობა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გარდაიქმნას მიკრობანკად გარკვეული კრიტერიუმების შესრულების შემთხვევაში.

• ამასთანავე, ცვლილება შევიდა **საქართველოს სამოქალაქო კოდექსშიც,** კერძოდ, 286-ე მუხლის მე-5 ნაწილში, 289-ე მუხლის 1^3 ნაწილსა და 625-ე მუხლის მე-4 ნაწილში უკვე განსაზღვრულ ჩამონათვალს, დაემატა მიკრობანკიც.

• მიკრობანკი დაემატა ასევე **სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის** 2^1 მუხლის მე-4 პუნქტში, 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტში, მე-40 მუხლის 1^1 პუნქტში, 50-ე მუხლის მე-8 პუნქტში, 75-ე მუხლის მე-4 პუნქტსა და 82^3 მუხლის პირველი და 1^1 პუნქტებში განსაზღვრულ ჩამონათვალს.

• **„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“** საქართველოს კანონში შევიდა ტექნიკური ხასიათის ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც, მოხდა “მიკრობანკების” შესაბამის მუხლებში ჩამატება.

6. CRS MCAA ანგარიშგების საერთო სტანდარტის შემოღება

• **საინვესტიციო ფონდების შესახებ კანონს** დაემატა ჩანაწერი, რომლის მიხედვით ამ კანონის საფუძველზე ავტორიზებული/რეგისტრირებული საინვესტიციო კომპანია, აგრეთვე აქტივების მმართველი კომპანია მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტორიზებული/რეგისტრირებული ერთობლივი საინვესტიციო ფონდისთვის ვალდებულია განახორციელოს სათანადო პროცედურები „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმებით (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შესაბამისი შეთანხმებით გათვალისწინებული „ანგარიშგების საერთო სტანდარტის“ თანახმად და საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ინფორმაცია ანგარიშგებისადმი დაქვემდებარებული თითოეული ფინანსური ანგარიშის თაობაზე, თუ ეს საინვესტიციო კომპანია/ერთობლივი საინვესტიციო ფონდი აღნიშნული შეთანხმებით განსაზღვრული ანგარიშმგები ფინანსური ინსტიტუტია.

• **„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში** 2022 წლის 30 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებებით განისაზღვრა მზღვეველის ახალი უფლებები და ვალდებულებები „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმების (CRS MCAA) მიხედვით. კერძოდ, მზღვეველი ვალდებულია ანგარიშგება აწარმოოს საქართველოსა და ამ იურისდიქციას შორის ამგვარი შეთანხმებით გათვალისწინებული „ანგარიშგების საერთო სტანდარტის“ თანახმად. ამასთან, მზღვეველი უფლებამოსილი ხდება უარი თქვას სადაზღვევეო მომსახურების განხორციელებაზე ან შეწყვიტოს ამგვარი ურთიერთობა, თუ დაზღვეული/დამზღვევი/ბენეფიციარი უარს აცხადებს მზღვეველისთვის „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმებით (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შესაბამისი შეთანხმებით დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე ინფორმაციის მიწოდებაზე. ასევე, წინამდებარე შეთანხმებების საფუძველზე დამატება შევიდა სამსახურის თანამშრომლის მიერ მზღვეველის კომერციული, კონფიდენციალური და დაზღვევის საიდუმლოებების დაცვის ნაწილში.

7. შრომით კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები

საქართველოს შრომის კოდექსსა და საქართველოს მთავრობის დადგენილებაში (N33, 24/01/2023) შესული ცვლილების საფუძველზე, 2023 წლის 1 იანვრიდან ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულებისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი სახელმწიფო ფულადი დახმარების ოდენობა განისაზღვრა ჯამურად არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარით, ნაცვლად 1000 (ათასი) ლარისა.

8. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილება

2022 წლის ნოემბერში ცვლილებები შევიდა **„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“** საქართველოს კანონში. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე, კანონის სათაური შეიცვალა და განისაზღვრა როგორც „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, ამასთან შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ანტიკორუფციული ბიურო ანტიკორუფციული ბიურო და უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭო. ანტიკორუფციული ბიუროს ამოცანაა, თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში ხელი შეუწყოს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას, ხოლო უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭო ახორციელებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობას.
აღნიშნულ კანონში შეტანილ ცვლილებათა ნაწილი ამოქმედდება 2023 წლის სექტემბრიდან.

9. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის ცვლილებები

2022 წლის დეკემბერში, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“** საქართველოს კანონში შესული ცვლილების შესაბამისად, საავტორო უფლების მფლობელს, მომიჯნავე უფლებების მფლობელს ან მონაცემთა ბაზის დამამზადებელს უფლება აქვს, დამრღვევისგან მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად მოითხოვოს ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის გადახდა, ამასთან ცვლილების თანახმად, დავის დაწყებამდე უფლების მფლობელმა ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის გადახდის მოთხოვნით უნდა მიმართოს დამრღვევს, ხოლო დამრღვევს უფლება აქვს, უფლების მფლობელის მიერ ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის გადახდის მოთხოვნიდან 2 კვირის ვადაში გადაუხადოს მას ერთჯერადი ფულადი კომპენსაცია დარღვეული უფლების კანონიერად გამოყენების შემთხვევაში უფლების მფლობელის მიერ მისაღები ფულადი ანაზღაურების 10 პროცენტზე მეტი ოდენობით. თუ დამრღვევი მისთვის მიმართვიდან 2 კვირის ვადაში არ გადაუხდის უფლების მფლობელს ერთჯერად ფულად კომპენსაციას აღნიშნული ოდენობით, უფლების მფლობელი უფლებამოსილია დაიწყოს დავა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მოითხოვოს ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის გადახდა, რომელიც არ უნდა იყოს დარღვეული უფლების კანონიერად გამოყენების შემთხვევაში უფლების მფლობელის მიერ მისაღები ფულადი ანაზღაურების ათმაგ ოდენობაზე ნაკლები. აღნიშნული კანონი ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე, კერძოდ, 2022 წლის 27 დეკემბერს.

10. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 20 მაისის გადაწყვეტილების (1/2/876 – ვებგვერდი, 24.05.2022წ.) შესაბამისად, ძალადაკარგულად იქნა ცნობილი „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის სიტყვების „ან თვითღირებულებაზე დაბალ ფასად“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც მართლზომიერი ეკონომიკური ინტერესის არსებობისას კრძალავს თამბაქოს ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის მიერ ამავე ბაზარზე მოქმედ მეორე ეკონომიკურ აგენტზე თამბაქოს ნაწარმის თვითღირებულებაზე დაბალ ფასად რეალიზაციას.

11. „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2022 წლის დეკემბერში **„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“** საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, შემოღებულ იქნა ფარმაცევტული პროდუქტის საცალო რეალიზაციის ზღვრული მაქსიმალური ფასი (რეფერენტული საცალო ფასი). რეფერენტული საცალო ფასის განსაზღვრა ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ფარმაცევტული პროდუქტის ფასის სახელმწიფო რეგულირების მეთოდოლოგიის, წესისა და პირობების შესაბამისად.
ცვლილების ფარგლებში, ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაციაში ჩართული ნებისმიერი პირი ვალდებულია უზრუნველყოს ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევის შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტის ხელმისაწვდომობა.

ამასთან, კანონის მიზნებისთვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი კომპეტენტური სამსახური უფლებამოსილია საგადასახადო ორგანოსგან გამოითხოვოს საგადასახადო საიდუმლოება. მითითებულ ვალდებულებათა დარღვევისათვის, კანონი ითვალისწინებს შესაბამის ადმინისტრაციულ სანქციებს.

აღნიშნული კანონი ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე, კერძოდ, 2022 წლის 13 დეკემბერს.

საკონტაქტო ინფორმაცია:

საქართველო, ქ. თბილისი,
ვაჟა - ფშაველას გამზირი 71, ბლოკი IV,
სართული IV, ოფისი 28
ტელ: (+995) 322 207407 (ext. 101)
მობილური: (+995) 555 018585
ელ-ფოსტა: info@nplaw.ge

NODIA,
URUMASHVILI
& PARTNERS